სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე განსათავსებელი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის შექმნისა და კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 20 ივნისის ბრძანება №90-ის
დანართი №1

სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე განსათავსებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს კომპანიის წესდების, ამ რეგლამენტის, კომპანიის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კომისიის საქმიანობას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისიის ტექნიკურ და საორგანიზაციო საქმიანობას ახორციელებს კომისიის აპარატი.
4. კომისიის და მისი აპარატის შემადგენლობას ამტკიცებს კომპანიის გენერალური დირექტორი.

მუხლი 2. განცხადების მიღება და განხილვა

1. ჰესის მშენებლობის თაობაზე განცხადებები მიიღება წელიწადში ოთხჯერ, ყოველი კვარტლის ბოლოს.
2. დაინტერესებულმა პირმა ჰესის მშენებლობის შესახებ განცხადება შეიძლება შემოიტანოს:
   - მარტში - ბოლო 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
   - ივნისში - ბოლო 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
   - სექტემბერში - ბოლო 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
   - დეკემბერში - ბოლო 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. ჰესის მშენებლობის თაობაზე კომპანიაში წარსადგენი განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   - დაინტერესებული პირი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი;
   - დაინტერესებული პირის საკონტაქტო ინფორმაცია, კერძოდ: საფოსტო მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;
   - პროექტის დასახელება და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით (მათ შორის შესაბამისი გეგმა, სქემა, ნახაზი);
   - სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტის ზუსტი აღწერა, საიდანაც მოხდება წყალაღება, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით (მათ შორის შესაბამისი გეგმა, სქემა, ნახაზი);
   - ჰესის მინიმალური და მაქსიმალური სიმძლავრე;
   - მოთხოვნილი წყლის მოცულობა თვეების მიხედვით;
   - ჰესის მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა;

- განცხადების შემოტანის თარიღი და დაინტერესებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.

4. კომისია განიხილავს დაინტერესებული პირის განცხადებას, მომსახურების საფასურის ოდენობას ათანხმებს ფინანსურ და კომერციის დეპარტამენტებთან და შესაბამის გადაწყვეტილებას წარუდგენს კომპანიის ტექნიკურ-ეკონომიკურ საბჭოს.
5. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებულ პირს ეცნობება განცხადების შემოტანიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, ახალი განცხადებების მიღებამდე.
6. თუ განცხადებით წარმოდგენილი წინადადება აკმაყოფილებს წყლის რაციონალური და კომპლექსური მოხმარების მოთხოვნებს და მისაღებია კომპანიისთვის, შესაბამისი განაცხადის წარმომდგენთან გაფორმდება მემორანდუმი. ერთი და იგივე ობიექტზე ან/და ტერიტორიაზე მემორანდუმი შეიძლება გაფორმდეს ერთზე მეტ დაინტერესებულ პირთან.
7. მემორანდუმის საფუძველზე დაინტერესებულ პირს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ჩასატარებლად.
8. მემორანდუმით განსაზღვრულ ვადაში დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ჰესის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქმედება, ჰესის მშენებლობის უფლების მოპოვების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მისაღებად.
9. დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია შემდეგი ოდენობით: 0.5 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესის მშენებლობისას - 5000 ლარი, 0.5 მგვტ-დან 2 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესის მშენებლობისას - 10000 ლარი, ხოლო 2 მგვტ-დან 3 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესის მშენებლობისას - 15000 ლარი.
10. თუ დაინტერესებული პირი წარმოადგენს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებულ მემორანდუმს/ხელშეკრულებას და ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტებს, მას გაუფორმდება „წყლის მიწოდების შესახებ“ ხელშეკრულება და დაუბრუნდება შესაბამისი საბანკო გარანტია.
11. თუ ერთი და იგივე ობიექტზე ან/და ტერიტორიაზე მემორანდუმი გაფორმებული იყო ერთზე მეტ დაინტერესებულ პირთან, „წყლის მიწოდების შესახებ“ ხელშეკრულება გაფორმდება იმ პირთან, ვინც კომპანიაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებულ მემორანდუმს/ხელშეკრულებას და ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტებს. ასეთ შემთხვევაში, სხვა პირებს შეუწყდებათ მემორანდუმი და დაუბრუნდებათ შესაბამისი საბანკო გარანტია.
12. დაინტერესებული პირის მიერ მემორანდუმის პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია გამოითხოვოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

მუხლი 3. კომისიის საქმიანობა

1. კომისიის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ.
2. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისიის სხდომის დღის წესრიგს სხდომის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს კომისია.
4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის 1/3-ისა. კომისიის გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სხდომის ყველა წევრი.
6. საკითხის განხილვისას კომისიის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს იმ რეგიონალური სამსახურისა და შესაბამისი სერვის-ცენტრის წარმომადგენელი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს განსახილველი სამელიორაციო ინფრასტრუქტურა.
7. განსახილველი საკითხის შინაარსისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია სხდომაზე ასევე მოიწვიოს სხვა პირები, ან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია.

მუხლი 4. კომისიის აპარატი

1. კომისიის თავჯდომარის დავალებით, კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხის პირველად რეგისტრაციას უზრუნველყოფს კომისიის აპარატი.
2. კომისიის აპარატი კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ამ რეგლამენტის პირობების დაცვით, ათანხმებს კომისიის სხდომის თარიღს და უზრუნველყოფს კომისიის სხდომის დღის წესრიგის მომზადებას.
3. კომისიის აპარატი კომისიის სხდომის მიმდინარეობისას ადგენს სხდომის ოქმს.
4. კომისიის აპარატი ადგენს კომისიის საქმიანობის ანგარიშს, ამზადებს საკითხებს კომისიის სხდომაზე განსახილველად, აღრიცხავს და ინახავს კომისიის მასალებს.